თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8013365

ნომერი: AR11153016

თარიღი : 17.07.2026

გაცემის თარიღი : 22.07.2026

გაცნობის თარიღი : 22.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დადეგაშვილი პ/ნ 24001041961
- თბილისი, ვეფხისტყაოსნის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2026 წლის 17 ივლისის №AR11153016 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 17 ივლისს №AR11153016 განცხადებით მომართა თორნიკე დადეგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022

წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.035.828 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 2 მარტის №7823502 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში და შეთანხმებული -3.20, ±0.00, +3.50, +7.00, +30.1 და +40.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2026 წლის 18 თებერვლის №AR11130011 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებულ +3.50 ნიშნულის გეგმაზე „ა-დ“ ღერძებსა და „3-1“ მონაკვეთებში მდებარე ტერასის 127.7 კვ.მ. და „10-11“ ღერძებში - 32.5 კვ.მ. ფართობები არასწორად იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და ფართობების ამოღება (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №882026176136-13 07.04.2026წ. გადაწყვეტილების გათვალისწინებით). ამასთან, მოთხოვნილია შეთანხმებული +7.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით, საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის გასწორების მიზნით.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ შეთანხმებულ +3.50 ნიშნულის გეგმაზე „ა-დ“ ღერძებსა და „3-1“ მონაკვეთებში 127.7 კვ.მ. და „10-11“ ღერძებში არსებული 32.5 კვ.მ. ფართობები წარმოადგენს საზაფხულო ფართობებს და შესაბამისად, ტექნიკური შეცდომა საზაფხულო ფართობებთან მიმართებით არ ფიქსირდება. რაც შეეხება, +7.00 ნიშნულის გეგმაზე საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის დაზუსტებას/გასწორებას, აღნიშნული შესაძლებელია წინამდებარე განცხადების განხილვის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ +7.00 ნიშნულის გასწორებული გეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს მოთხოვნა საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებით შეთანხმებული მხოლოდ +7.00 ნიშნულის გეგმის იდენტური (გეგმარების ცვლილების გარეშე) ამავე ნიშნულის გეგმა საცხოვრებელი ბინების გასწორებული ნუმერაციების დაფიქსირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2026 წლის 17 ივლისის №AR11153016 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.